სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

**საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

,,საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის წესი“ განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობასა და მისი გაცემის წესს.

**მუხლი 2. დაფინანსება (ოდენობა)**

1.ღონისძიებების ფარგლებში სტუდენტის დაფინანსების ოდენობა ყოველგვარი გადასახების გათვალისწინებით განისაზღვროს :

ა) დღის ხარჯს არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარისა;

ბ) მგზავრობის ხარჯი არაუმეტეს 35 (ოცდათხუტმეტი) ლარისა;

ბ) საცხოვრებლით უზრუნველყოფა/ღამისთევის ხარჯი წარმოდგენილი ივოისის შესაბამისად.

2. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ტრანსპორტით უზრუნველყოფის შემთხვევაში სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ დღისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა/ღამისთევის ხარჯი.

**მუხლი 3. ანგარიშსწორება**

ანგარიშსწორება განხორციელდეს წინასწარი ან შემდგომი გადახდით, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი/მოხსენებითი ბარათისა და ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად.

**მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.